

# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N01/05

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა გამარტივებული შესყიდვა

ქ. თბილისი

4 იანვარი 2017 წელი

ერთი მხრივ, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის - თეიმურაზ მღებრიშვილის სახით და მეორე მხრივ, სს „ინფექციური პათოლოგიის შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის - შოთა გოგიჩაიშვილის სახით, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 15 დეკემბრის N2579 განკარგულების საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე: (SMP160002961, 2017 წლის 4 იანვრის MOC 2 17 00006843 მოხსენებითი ბარათი)

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის (შემდგომში - „ბრალდებული/მსჯავრდებული“) გადაუდებელი, გეგმიური სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობის, წინასაოპერაციო გამოკვლევებისა და სტაციონარში ყოფნისას ლაბორატორიული და სხვა საჭირო მომსახურების გაწევის შესყიდვა. (CPV კოდი - 85100000 - ჯანდაცვის სამსახურის მომსახურებები).

## 2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის გადაუდებელი, გეგმიური სტაციონარული, ასევე, ამბულატორიული ტიპის სამედიცინო მომსახურების გაწევა.

## 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 1 000.00 ლარს (ერთი ათასი ლარი და 00 თეთრი).  
3.2. შესყიდვის ობიექტის (მომსახურება) ერთეულის ფასები განსაზღვრულია დანართი N1 - ით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.  
3.3. ხელშეკრულების 3.1. პუნქტში აღნიშნულ თანხაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი გადასახადი.

## 4. მომსახურების ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, დროული, ადეკვატური, კვალიფიციური და ხარისხიანი მომსახურების გაწევის შესახებ.  
4.2. მიმწოდებელმა მომსახურება უნდა გასწიოს შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N16 - სს ინფექციური პათოლოგიის შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი.

## 5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ. კერძოდ:  
ა) გადაუდებელი, გეგმიური სტაციონარული ტიპის სამედიცინო მომსახურების გაწევის შემთხვევაში: მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველთან წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: გამარტივებული ანგარიშშეაქტურა (ინვოისი), ჯანმრთელობის მდგომარეობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა 100) და დანართი N2.  
ბ) გადაუდებელი, გეგმიური ამბულატორიული ტიპის სამედიცინო მომსახურების გაწევის შემთხვევაში: მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველთან წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: გამარტივებული ანგარიშშეაქტურა (ინვოისი), გაწეული მომსახურების ჩამონათვალი განფასებით/კალკულაციით და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა 100). (ფორმა 100 - შესაძლოა არ იქნეს წარმოდგენილი სადიაგნოსტიკო მომსახურების მიწოდების შემთხვევაში).  
5.2. იმ შემთხვევაში, როდესაც ანგარიშსწორება ხდება ისეთი სამედიცინო მომსახურების გაწევისას, რომელიც დანართი N1-ით გათვალისწინებული არ არის, ზემოაღნიშნულ დოკუმენტაციასთან ერთად დამატებით წარმოდგენილ უნდა იქნეს დეტალური კალკულაცია.



- 5.3. მიღება-ჩაბარებისათვის საჭირო დოკუმენტაცია მიმწოდებელმა უნდა წარუდგინოს შემსყიდველს (სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს) ყოველთვის, არაუგვიანეს შესრულებული სამუშაოს თვის (საანგარიშო თვე) მომდევნო თვის 10 რიცხვისა, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ვახტანგ გორგასლის 83<sup>ა</sup>.
- 5.4. მიღება-ჩაბარების აქტს შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული პირი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან დირექტორი ან მის მიერ სამისოდ უფლებამოსილი პირი.
- 5.5. სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის სპეციალიზირებული სამედიცინო სერვისების სამმართველოს (შემდგომში - სამმართველო) მოსამსახურე, ამ ხელშეკრულების 5.1 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში ამოწმებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას ამ ხელშეკრულებით დადგენილ პირობებთან (წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას პაციენტისთვის მიწოდებულ სამედიცინო მომსახურებასთან) და ამავე ვადაში უზრუნველყოფს მიღება-ჩაბარების აქტის პროექტის წარდგენას უფლებამოსილი პირისთვის. მიღება-ჩაბარების აქტის პროექტს ამ ხელშეკრულების 5.4 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი ხელს აწერს მისი წარდგენიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა.
- 5.6. სამმართველოს მოსამსახურე ამ ხელშეკრულების 5.5. პუნქტით განსაზღვრული შემოწმების განხორციელებისას, ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენისას მიმწოდებელს წერილობით განუსაზღვრავს 7 სამუშაო დღიან ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად. სამმართველო 7 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს ხელახლა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას. ხარვეზის აღმოფხვრელობის შემთხვევაში გაწეული მომსახურების ღირებულება არ ანაზღაურდება. ასევე არ ანაზღაურდება შემთხვევა როდესაც მიმწოდებლის მიერ ხარვეზის გასწორების შემდგომ დაფიქსირდა ახალი ხარვეზი (მიუხედავად იმისა ხარვეზი ტექნიკურია თუ არატექნიკური).
- 5.7. სამმართველოს მოსამსახურე ამ ხელშეკრულების 5.5. პუნქტით განსაზღვრული შემოწმების განხორციელებისას არატექნიკური ხასიათის დარღვევის აღმოჩენისას, წერილობით ინფორმაციას აწვდის ინსპექტორების ჯგუფს შემდგომი რეაგირებისათვის, რომლის აქტის საფუძველზე შემსყიდველი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასა და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით.

## 6. ანგარიშსწორების პირობები

- 6.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
- 6.2. ანგარიშსწორება სამინისტროს მიერ განხორციელდება დანართი N1 - ით განსაზღვრული პრეისკურანტის ფასების შესაბამისად.
- 6.3. სამედიცინო მომსახურების გაწევის მომენტში ნოზოლოგიის ცვლილების აუცილებლობისას, ისეთი ნოზოლოგიის მკურნალობა, რომელიც დანართი N1 - ით არ არის განსაზღვრული ანაზღაურდება ფაქტიურად გაწეული ხარჯის შესაბამისად.
- 6.4. სამედიცინო დაწესებულების მხრიდან ერთდროულად ორი ან მეტი ნოზოლოგიის მკურნალობისას ანაზღაურდება ძირითადი ნოზოლოგიის ღირებულება სრულად, ხოლო დამატებითი ნოზოლოგიების ღირებულება მათი საწყისი ღირებულების 50%-ის ოდენობით, გარდა კრიტიკული მდგომარეობისა.
- 6.5. ანგარიშსწორება სამინისტროს მიერ განხორციელდება მიმწოდებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან: 10 სამუშაო დღის ვადაში.
- 6.6. დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი;

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

### 7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- ა) შეამოწმოს, სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არსებული სამედიცინო მომსახურების განფასების შესაბამისობა და მითითებული ფასების თანხვედრა ხელშეკრულების დანართი N1-ში მითითებულ ფასებთან მიმართებაში, ასევე რამდენად სათანადოდ იქნა მომსახურება გაწეული სამედიცინო დაწესებულების მიერ, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთვალდებულებების არსებობის პერიოდში ნებისმიერ დროს.
- ბ) არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული სამედიცინო მომსახურების ღირებულება, იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ დოკუმენტაცია არ იქნა წარმოდგენილი ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად, საანგარიშგებო თვის დასრულებიდან 2 თვის ვადაში;
- გ) სამედიცინო დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის გარდაცვალების შემთხვევები რევიზიის მიზნით გადაუგზავნოს სსიპ - სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, რომლის დასკვნის საფუძველზეც განხორციელდება ჩატარებული სამედიცინო მომსახურების თანხის ანაზღაურება ან/და ანაზღაურებული თანხის უკან დაბრუნების საკითხი;
- დ) უზრუნველყოს მისი თანამშრომლების მიერ სამედიცინო დაწესებულებაში არსებული წესების დაცვა, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

### 7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;



ბ) სამედიცინო დაწესებულებაში უზრუნველყოს მიმწოდებლისა და მესამე პირების უსაფრთხოების დაცვა, ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში, მათ შორის, ბრალდებულის/მსჯავრდებულისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევის დროს.

**7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:**

- ა) მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
- ბ) უარი თქვას მომსახურების გაწევაზე, თუ კონკრეტულ შემთხვევაში არ ექნება სათანადო რესურსი სამედიცინო მანიპულაციის განსახორციელებლად (აღნიშნული ფაქტის დადგომის შემთხვევაში მიმწოდებელი წერილობით დაუდასტურებს შემსყიდველს მითითებულ ფაქტს 3 სამუშაო დღის ვადაში).

**7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:**

- ა) ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან, უზრუნველყოს მომსახურების გაწევა შემსყიდველის მოთხოვნისთანავე;
- ბ) მომსახურება გასწიოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან **2017 წლის 20 თებერვლის** ჩათვლით;
- გ) მომსახურება გაუწიოს შემსყიდველს, ხელშეკრულებით და დანართი N1 - ით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დ) მომსახურების გაწევისას დაიცვას ხელშეკრულებით და დანართი N1-ით გათვალისწინებული ყველა პირობა;
- ე) გამოკვლევის ჩასატარებლად მიყვანილ ბრალდებულს/მსჯავრდებულს სამედიცინო მომსახურება/გამოკვლევა გაუწიოს ურიგოდ, ყოველგვარი შეფერხების გარეშე, ბრალდებულის/მსჯავრდებულის და სხვა პირთა უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ამასთან, ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო დაწესებულებაში მიყვანისას, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი პირის გამოყოფა, რომელიც დაეხმარება საბადრაგო სამსახურს სამედიცინო დაწესებულებაში დაუბრკოლებლად გადაადგილებასა და ბრალდებულის/მსჯავრდებულისთვის დროული სმედიცინო მომსახურების გაწევის ორგანიზებაში;
- ვ) ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების (გაწერის) შემდგომ პერიოდში, მედიკამენტების დანიშვნის დროს უპირატესად იხელმძღვანელოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის **2015 წლის 22 აპრილის N31 ბრძანებით დამტკიცებული „პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის ბაზისური მედიკამენტების ნუსხით“**; სხვა მედიკამენტის დანიშვნის შემთხვევაში, რომელიც არ შედის აღნიშნულ ნუსხაში, შემსყიდველს უფლება აქვს, მიმწოდებელს მოსთხოვოს წერილობითი დასაბუთება ამ მედიკამენტის დაშვნის აუცილებლობის თაობაზე.
- ზ) მიმწოდებელი ვალდებულია, ბრალდებულის/მსჯავრდებულისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევისთანავე შეადგინოს ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და დალუქული ფორმით გაუგზავნოს დაწესებულების მთავარ ექიმს, საბადრაგო სამსახურის მეშვეობით;
- თ) ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ;
- ი) განახორციელოს ხელშეკრულების ფარგლებში გახარჯული თანხისა და ნაშთის კონტროლი და აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდოს შემსყიდველს, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (**medical@moc.gov.ge**);
- კ) ხელი შეუწყოს შემსყიდველის თანამშრომლების მიერ უფლება-მოვალეობების შესრულებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ გაქცევის, თვითდაზიანების ან სხვა სამართალდარღვევის ჩადენის რისკი.

**8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას**

- 8.1. მიმწოდებლის მიერ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის გადაუდებელი, გეგმიური სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობის, წინასაოპერაციო გამოკვლევებისა და სტაციონარში ყოფნისას ლაბორატორიული და სხვა საჭირო მომსახურების შეუსრულებლობის ან/და ხელშეკრულების არაჯერონად შესრულების ან/და 5.3 პუნქტში მითითებული ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო კონკრეტულ შემთხვევაში **გასაწევი/გაწეული მომსახურების 20 %-ის** ოდენობით.
  - 8.2. მიმწოდებლის მხრიდან სამედიცინო დოკუმენტაციაში არასწორი მონაცემების მითითების შემთხვევაში (გარდა 5.6. პუნქტით განსაზღვრული ტექნიკური ხარვეზისა) მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო **გაწეული/გასაწევი მომსახურების ეპიზოდის 10 %-ის** ოდენობით.
  - 8.3. იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.
- 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**
- 9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან **2017 წლის 31 მაისის** ჩათვლით.
  - 9.2. ხელშეკრულების მოქმედება ვრცელდება, როგორც ხელშეკრულების ფარგლებში დაწყებულ, ხელშეკრულების ფარგლებში დაწყებულ და დასრულებულ, ასევე, დასრულებულ შემთხვევებზე.



## 10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილებების შეტანა

- 10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
- 10.2. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არაქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
- 10.3. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.
- 10.4. თუ ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა, წინასწარგათვალისწინებული მიზეზების გამო, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ნებისმიერი ინფორმაცია ცვლილების შესახებ. ცვლილება ხელშეკრულებაში შეტანილად ჩაითვლება ორივე მხარის მიერ ხელშეკრულების ცვლილებაზე/შეთანხმებაზე ხელმოწერის დღიდან.
- 10.5. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 11. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

- 11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები, საომარი მოქმედებები, საქონლის ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
- 11.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.
- 11.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა „11.1“ პუნქტიდან გამომდინარე სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
- 11.4. ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა დადასტურებული უნდა იყოს საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს/ორგანოების მიერ.

## 12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

- 12.1. მომსახურების გაწევის შემდეგ (ან შესრულების პარალელურად) შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება, გარდა გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხისა.
- 12.2. ინსპექტირების განხორციელების შემდგომ დგება ინსპექტირების აქტი. ინსპექტირების აქტში მითითებული უნდა იყოს გაწეული მომსახურების დასახელება, ღირებულება, ინსპექტირებისას აღმოჩენილი დარღვევები.
- 12.3. ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში, შემსყიდველი აცნობებს მიმწოდებელს გამოვლენილი დარღვევების შესახებ, რომელიც ვალდებულია, დაუყოვნებლივ აღმოფხვრას დარღვევა საკუთარი ხარჯით.
- 12.4. ინსპექტირების აქტის საფუძველზე თუ არსებობს ვარაუდი სამედიცინო მომსახურების უხარისხოდ გაწევასთან დაკავშირებით, შემსყიდველს უფლება აქვს, ინფორმაცია მიაწოდოს სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, ასევე, საჭიროების შემთხვევაში მიმართოს სსიპ - აკად. ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, ექსპერტიზის ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი.
- 12.5. ხელშეკრულებაზე ინსპექტირების განმახორციელებელი პირების ვინაობა განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

## 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

- 13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;



ბ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს არღვევს სისტემატიურად.

დ) ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძველზე;

ე) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია ცალმხრივად, 14 დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დააზიანებს მის ახლად გამოვლენილ ინტერესებს.

13.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან.

**14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს მოლაპარაკების გზით.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**15. ხელშეკრულების სხვა პირობები**

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზიანს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

15.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ორი შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.6. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იქნება წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

**16. მხარეთა რეკვიზიტები**

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
<p>საქართველოს სასაჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო</p> <p>მის: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის N83ა, საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934 სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222 ანგარიშის ნომერი: 200122900</p> <p> მინისტრის მოადგილე <i>[Signature]</i> /იენა მურაზ მღებრიშვილი/</p>	<p>სს „ინჟექციური პათოლოგიის შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი“</p> <p>ფაქტიური მისამართი: საქართველო, თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N16 საიდენტიფიკაციო კოდი: 212153756 საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა“ IBAN: # GE12BR0000010036020037 ტელეფონი: 593438172</p> <p> გენერალური დირექტორი <i>[Signature]</i> /ზოფია გოგიჩაიშვილი/</p>










# საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 4 იანვარი 2017 წელი  
 მიმწოდებელი: სს „ინფექციური პათოლოგიის შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი“  
 ხელშეკრულების № 01/05

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლს "ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები" ვადასტურებთ, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, ასევე გავეცანით ხელშეკრულების პირობებს რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით:

ვიზირებულია:

1.  ამირან ჯებისაშვილი
2.  გიორგი ციხაძე
3.  ალექსანდრე დარახველიძე
4.  ირაკლი ჩიქოვანი
5.  თამთა დემურიშვილი
6.  ზურაბ ფუტყარაძე
7.  მიხეილ ივანიშვილი



პრეისკურანტი

სს ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრი

სტანდარტის კოდი	დასახელება	ფასი (ლარებში)
<b>ბიოქიმია</b>		
MMD38	სტაციონარის საწოდდღე	60,00
ა003	რეანიმაციის სტაციონარის საწოდდღე	90,00
გ001	C რეაქტიული ცილის განსაზღვრა სისხლის შრატში	5,57
გ003	ალანამინოტრანსფერაზას აქტივ. განს. სისხ. კინეტიკური მეთოდით (ALT)	4,45
გ004	ანტისტრეპტოლიზინის განსაზღვრა აგლუტინაციის მეთოდით	7,27
გ005	ასპარტატამინოტრანსფერაზას აქტივ. განს. სისხ. კინეტიკური მეთოდით (AST)	4,45
გ006	აქტივირებული თრომბოპლასტინის ნაწილობრივი დროის განსაზღვრა (APTT)	9,05
გ007	გამაგლუტამინოტრანსფერაზას აქტივ. განს. სისხ. შრატში კინეტიკური მეთოდით	4,97
გ009	რეუმატოიდული ფაქტორის განს. სისხლის შრატში აგლუტინაციის მეთოდით	5,70
გ010	კალციუმის შემცველობის განსაზღვრა სისხლის შრატში	6,17
გ011	კრეატინინის კონცენტრაციის განსაზღვრა სისხლის შრატში	6,89
გ012	ლაქტატდეჰიდროგენეზას აქტივობის განსაზღვრა სისხლის შრატში კინეტიკური მეთოდით	5,17
გ014	სისხლში ალფა-ამილაზას შემცველობის განსაზღვრა სისხლის შრატში	8,90
გ015	პირდაპირი ბილირუბინის კონცენტრაციის განსაზღვრა სისხლის შრატში	6,05
გ016	რკინის შემცველობის განსაზღვრა სისხლში	7,75
გ017	პროთრომბინის დროის განსაზღვრა	6,70
გ018	პროთრომბინის ინდექსის განსაზღვრა	6,70
გ019	რკინის გაჯერების უნარის განსაზღვრა სისხლის შრატში	8,80
გ020	საერთო ბილირუბინის კონცენტრაციის განსაზღვრა სისხლის შრატში	6,18
გ021	საერთო ცილის განსაზღვრა სისხლის შრატში	5,35
გ022	სისხლის ჯგუფის განსაზღვრა კემაგლუტაციის მეთოდით	4,20
გ023	სისხლის საერთო ანალიზი	6,90
გ025	სისხლის რეზუსის განსაზღვრა კემაგლუტაციის მეთოდით	3,57
გ028	ტრიგლიცერიდების განსაზღვრა სისხლის შრატში	5,97
გ029	ტურბ-ფოსფატაზას აქტივობის განსაზღვრა სისხლის შრატში კინეტიკური მეთოდით	5,12
გ030	ქოლესტერინის შემცველობის განსაზღვრა სისხლში	6,18
გ031	შარდის საერთო ანალიზი	5,65
გ032	შარდშეგავს კონცენტრაციის განსაზღვრა სისხლის შრატში კოლორიმეტრული მეთოდით	7,03
გ033	შარდოვანას შემცველობის განსაზღვრა სისხლის შრატში კოლორიმეტრული მეთოდით	6,45
გ034	შაქრის შემცველობის განსაზღვრა სისხლის შრატში ან ლიქვორში	5,40
გ035	ალბუმინის განსაზღვრა სისხლში	6,22
გ036	პეტროფილური ანტიხეულების განსაზღვრა	27,10
გ037	სისხლის პლაზმაში ფიბრინოგენის კონცენტრაციის განსაზღვრა	7,20
გ038	თრომბინის დროის განსაზღვრა	5,70
გ039	Na (ნატრიუმის) განსაზღვრა სისხლის შრატში კოლორიმეტრული მეთოდით	6,45
გ040	K (კალიუმის) განსაზღვრა სისხლის შრატში ტურბიდიმეტრული მეთოდით	7,70
გ041	C რეაქტიული ცილის განსაზღვრა სისხლის შრატში ტურბიდიმეტრული მეთოდით	14,70
გ042	ანტისტრეპტოლიზინის 0-ს განსაზღვრა სისხლის შრატში ტურბიდიმეტრული მეთოდით	11,30
გ043	რეუმატოიდული ფაქტორის განს. სისხლის შრატში ტურბიდიმეტრული მეთოდით	10,44
გ048	შარდში ცილის განსაზღვრა	4,27
გ049	შარდში ბილირუბინის განსაზღვრა	5,08
გ051	სისხლის გამოკვლევა ლეიკოციტებზე	3,72
გ052	ჰემოგლობინის განსაზღვრა სისხლში	3,76
გ055	სისხლის ანალიზი შედეგდებაზე	3,54
გ060	სისხლში HDL განსაზღვრა	5,37
გ061	სისხლში LDL განსაზღვრა	7,98
გ062	სისხლში კრეატინინაზას განსაზღვრა	7,00
გ063	სისხლში პანკრეასული ამილაზას განსაზღვრა	7,50
გ064	სისხლში პემატოკრიტის განსაზღვრა	3,80
გ065	სისხლში შვავა-ტუტოვანი წონასწორობის განსაზღვრა	6,04
გ066	კოაგულოგრაფია	17,09



გ066/1	კოაგულოგრაფია (გაშლილი)	35,35
გ067	სისხლის სქელი წვეთი მაღარიაზე	5,25
გ079	მჯავა-ტუტოვანი წონასწორობის, გაზებისა და ელექტროლიტების განსაზღვრა	31,65
გ081	სისხლის საერთო ანალიზი შემატოლოგიურ ანალიზატორზე	10,00
გ082	სისხლის შემცველობის განსაზღვრა სისხლში	11,19
გ088	სისხლში მგნიუმის განსაზღვრა	7,75
გ089	სისხლში ფოსფორის განსაზღვრა	7,25
გ090	კრიოგლობულინის განსაზღვრა სისხლის შრატში	10,00
გ094	ტრანსფერინის სატურაცია	14,50
გ096	სისხლში რეტიკულოციტების განსაზღვრა	9,50
გ097	ციკლოსპორინის განსაზღვრა სისხლის შრატში	63,25
გ912	ლიქვორის საერთო ანალიზი	7,35
გ928	სულემას სინჯის განსაზღვრა სისხლში	5,07
გ074	საერთო ცილის განსაზღვრა ასციტურ სითხეში	5,35
გ075	ალბუმინის განსაზღვრა ასციტურ სითხეში	6,22
გ076	შაქრის შემცველობის განსაზღვრა ასციტურ სითხეში	5,40
გ077	ლაქტატდეჰიდროგენეზის განსაზღვრა ასციტურ სითხეში	5,17
გ078	ასციტური სითხის საერთო ანალიზი	6,90
გ906	განაეღის პროტოზოოლოგიური გამოკვლევა	8,00
გ907	განაეღის საერთო ანალიზი	8,00
გ910	ამებიოზის სეროლოგიური გამოკვლევა	13,65
გ914	განაეღის გამოკვლევა კელმინთებზე-პარაზიტოლოგია	11,00
გ053	განაეღის გამოკვლევა სტერკობილინზე	4,15
გ054	განაეღის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე	10,00

**აბუნილოგია**

გ203	სისხლში აიუ ანტიხეულებების განს. იმუნობლოტინგის მეთოდით	116,00
გ204	სისხლში აიუ ანტიხეულებების განს. იფა მეთოდით	14,80
გ206	სისხლში აიუ ანტიხეულებების განს. სწრაფი/შარტივი მეთოდით	14,80
გ207	სისხლში აიუ რმ-ს რაოდენობრივი განს. PCR მეთოდით	268,00
გ208	სისხლში HIV რაოდენობრივი განსაზღვრა რეალური დროის პოლიმერაზის ჯაჭვზე	304,00
გ209	სისხლში აიუ ანტიხეულებების განს. იფა მეთოდით (სასწრაფო)	34,05
გ207	სისხლში აიუ ვირუსის ტროპიზმის განსაზღვრა სექვენირების მეთოდით	820,00
გ101	ლატენტური ტუბერკულოზის დეტექცია ELISpot მეთოდით	169,40
გ103	C პეპტიდის განსაზღვრა სისხლის შრატში ელექტროქიმილუმინისცენციით	29,60
გ104	C პეპტიდის რაოდენობრივი განსაზღვრა სისხლის შრატში იფა მეთ.	15,19
გ106	სისხ. CD 4 ლიმფოციტების აბსოლიტური და პროცენტული განს. ციტოფლორომეტრით	22,14
გ107	სისხ. ლიმფოციტების ერთი სახის სუბპოპულ. განს. ლიმფოციტოტოქს. ტესტით	5,68
გ108	სისხ. ლიმფოციტების უჯრედული პოლიფერაციის განს. კოლონიმეტ. მეთოდით	12,30
გ109	სისხ. CD 16 ლიმფოციტების აბსოლიტური და პროცენტული განს. ციტოფლორომეტრით	22,14
გ111	სისხ. CD 19 ლიმფოციტების აბსოლიტური და პროცენტული განს. ციტოფლორომეტრით	22,14
გ119	სისხ. CD 8 ლიმფოციტების აბსოლიტური და პროცენტული განს. ციტოფლორომეტრით	22,14
გ121	სისხ. CD 3 ლიმფოციტების აბსოლიტური და პროცენტული განს. ციტოფლორომეტრით	22,14
გ131	სისხ. CD 56 ლიმფოციტების აბსოლიტური და პროცენტული განს. ციტოფლორომეტრით	22,14
გ139	სისხლის ნაცხის გამოკვლევა წითელი მგლურას (LE) უჯრედებზე	9,89
გ140	სისხლში ალფა-პროტეინის (AFP) განსაზღვრა იფა მეთოდით	10,27
გ140.1	სისხლში ალფა-პროტეინის (AFP) განსაზღვრა იფა მეთოდით (სასწრაფო)	18,95
გ144	სისხლში ანტიკარდიოლიპინური ჯამური ანტიხე. განსაზღვრა იფა მეთოდით	20,74
გ144.1	სისხლში ანტიკარდიოლიპინური ჯამური ანტიხე. განსაზღვრა იფა მეთოდით (სასწრაფო)	42,58
გ146	სისხლში ანტინუკლეარური ანტიხე. (ANA) განსაზღვრა იფა მეთოდით	17,90
გ146.1	სისხლში ანტინუკლეარური ანტიხე. (ANA) განსაზღვრა იფა მეთოდით (სასწრაფო)	35,98
გ156	სისხლში მიგლოპეროქსიდაზას საწ. ანტიხე. (P-ANCA) განს. იფა მეთოდით	15,82
გ159	სისხლში ორსპირალიანი დნმ-ის. (dsDNA) საწ. ანტიხე. განს. იფა მეთოდით	19,95
გ159.1	სისხლში ორსპირალიანი დნმ-ის. (dsDNA) საწ. ანტიხე. განს. იფა მეთოდით (სასწრაფო)	17,50
გ160	სისხლის პროტეინაზა 3-ის საწ. ანტიხე. (C-ANCA) განსაზღვრა იფა მეთოდით	15,82
გ160.1	სისხლის პროტეინაზა 3-ის საწ. ანტიხე. (C-ANCA) განსაზღვრა იფა მეთოდით (სასწრაფო)	31,17
გ164	სისხლში ცირკულირებადი იმუნური კომპლექსების (Cig) განს. იფა მეთოდით	15,00
გ167	ASMA გლუვი კონტის საწ. ნტისხ	
გ177	სისხლის შრატში A.M.G იმუნოგ. განს. ტურბიდიმეტრული მეთოდით	18,69
გ180	სისხლის შრატში თიროიდმასტიმულირებელი ჰორმონის განს. იფა მეთოდით	9,20
გ181	სისხლის შრატში ანტიმიტოქონდრიალური ანტიხე. განს. იფა მეთოდით	24,80
გ182	სისხლის შრატში ფერითინის კონცენტრაციის განს. იფა მეთოდით	13,52
გ190	სისხლის შრატში თიროიდმასტიმულირებელი ჰორმონის განს. იფა მეთოდით (სასწრაფო)	15,19
გ191	სისხლის შრატში ანტიმიტოქონდრიალური ანტიხე. განს. იფა მეთოდით (სასწრაფო)	40,02
გ192	სისხლის შრატში ფერითინის კონცენტრაციის განს. იფა მეთოდით (სასწრაფო)	20,58
გ219	აუტოანტიხეულების განსაზღვრა იმუნობლოტინგის მეთოდით	75,70
გ220	სისხლში CD3, CD4, CD8, ლიმფოციტების პროცენტული განს. იმუნოფლოროესცენციით	25,80
გ221	B ლიმფოციტების და NK უჯრედების პროცენტული განსაზღვრა იმუნოფლოროესცენციით	18,16



გ232	სისხლში ანტიფოსფოლიპიდური და ანტიკარდიოლიპინური ჯამური IgM და IgG ანტისხეულების განსაზღვრა იფა მეთოდით	45,60
გ233	სისხლში მუტანტური ციტრულირებული ვიმენტინის საწინააღმდეგო IgG ანტისხეულების რაოდენობრივი განსაზღვრა იფა მეთოდით	37,30
გ234	სისხლში Sci-70 ანტიგენის საწინააღმდეგო IgG აუტოანტისხეულების რაოდენობრივი განს. იფა მეთოდით	27,20
გ235	ფერიტინის რაოდენობრივი განსაზღვრა ელექტროკემილუმინისცენციის მეთოდით	24,10
გ237	კარცინომბრიონალური ანტისხეულების გამოკვლევა ელექტროკემილუმინისცენციის მე	24,90
გ238	CA 19-9 ანტისხეულების გამოკვლევა ელექტროკემილუმინისცენციით	26,00
გ239	სისხლის შრატში IgE-ს განსაზღვრა ელექტროკემილუმინისცენციით	24,20
გ240	სისხლში ღვიძლ-თირკმლის მიკროსომული ანტისხეულების რაოდენობრივი განსაზღვრა	32,00
გ241	სისხლში ღვიძლის ხსნადი ანტიგენის რაოდენობრივი განსაზღვრა იფა მეთოდით	32,00
გ242	სისხლში ხსნადი ინტერლეიკინი SIL-2-R -ის რაოდენობრივი განსაზღვრა იფა მეთოდით	105,00
გ243	სისხლში ანტიგენზინ-მაკონვერტირებელი ფერმენტის (ACE) რაოდენობრივი განსაზღვრა	105,00
გ244	თირკმლოვლინის საწ. ანტისხეულების რაოდენობრივი განსაზღვრა იფა მეთოდით	25,70
გ245	ციკლოური ციტრულირებული კეპტიდის საწ. ანტისხეულების რაოდენობრივი განსაზღვრა	50,00
გ246	მიტოქონდრიის პოტენციალის განსაზღვრა JC-1 გამდინარე ციტომეტრზე	32,00
გ247	CA 125	27,60
